რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, შექმნის დღიდან, აქტიურ კონსულტაციებს მართავს რელიგიურ თემებთან და რელიგიურ გაერთიანებებთან. მიღებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ რელიგიურ თემებთან ინდივიდუალური სამუშაო შეხვედრების პარალელურად, აუცილებელი იყო ქმედითი ინტერრელიგიური დიალოგის ფორმატის ორგანიზება. ამ მიზნით, 2015 წელს ჩამოყალიბდა ღია ფორმატის ინტერრელიგიური სათათბირო, რომელიც აერთიანებს ყველა რელიგიურ თემს მათი სურვილისა და ინტერესის საფუძველზე. მნიშვნელოვანია, რომ სათათბირო არ წარმოადგენს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულს და არ გააჩნია არანაირი სახის ადმინისტრაციული ბმა სააგენტოსთან. სათათბიროს ფორმატში განიხილება, როგორც რელიგიური თემების, ასევე, სააგენტოს მიერ ინიცირებული საკითხები. ხაზგასასმელია, რომ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ ორგანიზებული ინტერრელიგიური სათათბირო საკუთარი ფორმატით განსხვავდება პარალელურად მოქმედი ამავე ტიპის ყველა პროექტისგან. კერძოდ, სათათბირო აერთიანებს როგორც რელიგიურ უმცირესობას, ასევე, რელიგიურ უმრავლესობას მიკუთვნებულ რელიგიურ გაერთიანებებს და საკუთარი არსით ითვალისწინებს მათ ყველა საჭიროებას.

ინტერრელიგიური სათათბიროს შემადგენლობა:

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია
- სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო;
- სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია;
- ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია
- საქართველოს ებრაელთა კავშირი;
- თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია
- საქართველოს სახარების ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების კავშირი
- საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია;
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
- საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია;
- საქართველოს იეზიდთა სასულიერო კრება
- კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება;

სათათბირო პერიოდულად იკრიბება და მსჯელობს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე.





Since its creation, the State Agency for Religious Issues has been actively consulting with religious communities and religious organizations. Experience has shown that along with individual working meetings with religious communities, it was necessary to organize a format of effective inter-religious dialogue. To this end, an open-format inter-religious council was formed in 2015 that unites all religious communities on the basis of their desire and interest. It is important that the Council is not a structural unit of the State Agency for Religious Issues and has no administrative link with the agency. In the Council format issues initiated by both the religious communities and the agency are discussed. It should be emphasized that the Interreligious Council organized by the State Agency for Religious Issues differs in its own format from all projects of the same type operating in parallel. Specifically, the Council incorporates both religious minorities as well as religious associations belonging to religious majority and takes into account all their needs.

Interreligious Council includes:

- Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church
- Administration of Muslims of All Georgia
- Diocese of the Armenian Apostolic Orthodox Holy Church in Georgia
- Apostolic Administration of the Caucasus
- Jewish Union of Georgia
- International Baptist Church of Tbilisi
- Union of Evangelical Christian Baptist Church of Georgia
- Evangelical-Lutheran Church in Georgia
- Evangelical-Protestant Church in Georgia
- Evangelical Faith Church of Georgia
- Spiritual Council of Yazidis in Georgia
- International Society for Krishna Consciousness

The council meet periodically and discuss various important issues.







**ინტერრელიგიური
კონფერენციები**

**INTERRELIGIOUS
CONFERENCES**

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ითვალისწინებს და ეხმიანება თანამედროვე მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს. სწორედ ამ ნიშნით ირჩევა ჩვენი, უკვე ტრადიციული, ყოველწლიური კონფერენციის – „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ თემატიკა: 2016 წელს ეს იყო „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“, რომელმაც მიიღო დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია: „ინტერრელიგიურ დიალოგში ჩართული მხარეები იღვწიან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის, ხელს უწყობენ რელიგიათა შორის თანამშრომლობასა და მაღალზნობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას, ორიენტირებულს ადამიანის ღირსებისა და ოჯახის სინამდის დაცვაზე, თანასწორუფლებიანობაზე, სოციალური პრობლემების მოგვარებაზე“; 2017 წლის კონფერენციის თემა იყო – „რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში“; მესამე კონფერენცია საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა – „რელიგიების როლი საქართველოში – 1918-2018“; მეოთხე კონფერენცია 2019 წელს გაიმართა დევიზით: „რელიგიები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე“ და მიიღო დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია: „მიგვაჩნია, რომ საქართველოს, როგორც ძველი ევროპის კულტურული ოჯახის ისტორიული წევრისა და გამორჩეული ტოლერანტობის ტრადიციის მქონე ქვეყნის როლი მნიშვნელოვანია თანამედროვე ევროპის თანამეგობრობისათვის, ისევე, როგორც ევროპული ქვეყნების მიღწევები ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის სფეროში – ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის; ვგმობთ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცებასა და სიცოცხლის მოსპობას; საკულტო ნაგებობების ეთნიკურ-ისტორიული კვალის ნაშლის მიზნით უხეში გადაკეთების, დახურვის ან განადგურების ყველა ფაქტს; ვემიჯნებით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის გამოვლინებებს და მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს“.

The State Agency for Religious Issues considers and responds to the challenges of the modern world. It is for this reason that the theme of our already traditional annual conference “Interreligious Dialogue for Peace” is chosen: In 2016, it was the “Inter-religious Dialogue for Peace”, which adopted a declaration, stating: “the parties involved in “inter-religious dialogue advocate for our country’s territorial integrity, promote inter-religious cooperation and formation of high-moral society, focused on the protection of human dignity and the sanctity of the family, equality, social problems solving “; The topic of the conference held in 2017 was “Religious Tolerance in Georgia”; The third conference was dedicated to the 100th anniversary of the First Republic of Georgia - “The Role of Religions in Georgia - 1918-2018”; The fourth conference was held in 2019 with the motto: “Religions on the Road to Georgia’s European Integration” and adopted a declaration which stated: “We believe that the role of Georgia, as a historical member of the ancient European cultural family and a country with a tradition of distinguished tolerance is important for the modern European community, as well as the achievements of the European countries in the field of protection of fundamental human rights - for the development of our country; we condemn abduction and killing of civilians in the occupied territories of Georgia; as well as all facts of gross alteration, closure, or destruction of religious buildings with a purpose of erasing ethnic-historical traces; we oppose facts of restriction of freedom of religion and belief in the occupied territories of Georgia and support the process of restoring Georgia’s territorial integrity”.













დეკლარაციები

DECLARATIONS

2015 წლის 8 მარტს, თბილისის „ტოლერანტობის სკვერში“ ხელი მოეწერა საქართველოს რელიგიურ გაერთიანებათა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ერთობლივი დეკლარაცია „ქალი – მშვიდობის დესპანი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ რელიგიური ორგანიზაციები, სახელმწიფოსთან ერთად, „მხარს დაუჭერენ ქალთა უფლებების აღიარებასა და დაცვას; გმოზდნენ და კვლავაც დაგმოზდენ ქალთა მიმართ განხორციელებული ადამიანის ღირსების შემლახველი ძალადობის, ჩაგვრისა და სექსის ნიშნით დისკრიმინაციის ყოველგვარ ფორმას; შეუქმნიან ყველა საჭირო პირობას და განსაკუთრებით იზრუნებენ სოციალურად დაუცველ ქალებზე, ორსულ ქალებზე, მრავალშვილიან დედებზე, მოხუცთა თავშესაფრების ბინადარ და სამედიცინო დაწესებულებებში მყოფ ქალებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ და პრობაციონერ ქალებზე; საკუთარი რელიგიურ-ზნეობრივ სწავლებათა გათვალისწინებით, ხელს შეუწყობენ კანონის წინაშე ქალისა და მამაკაცის თანასწორობას“.

2016 წელს კონფერენციაზე „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“, მიღებულ იქნა დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია: „ინტერრელიგიურ დიალოგში ჩართული მხარეები ხელს უწყობს რელიგიათა შორის თანამშრომლობასა და მაღალზნეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას, ორიენტირებულს ადამიანის ღირსებისა და ოჯახის სინმინდის დაცვაზე, თანასწორუფლებიანობაზე, სოციალური პრობლემების მოგვარებაზე“;

2019 წლის 24 ოქტომბერს ინტერრელიგიურ კონფერენციაზე „რელიგიები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე“ ხელი მოეწერა დეკლარაცია, რომლის თანახმადაც საქართველოში მოქმედი რელიგიები, მხარდაჭერას უცხადებენ საყოველთაო პლებისციტით განცხადებულ საქართველოს ისტორიულ არჩევანს – ევროპულ კურსს ეროვნული ტრადიციების, ოჯახისა და რწმენის ფუნდამენტური საკითხებისა და ღირებულებების შენარჩუნებითა და მოფრთხილებით; გმოზდენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცებასა და სიცოცხლის მოსპობას; საკულტო ნაგებობების ეთნიკურ-ისტორიული კვალის წაშლის მიზნით უხეში გადაკეთების, დახურვის ან განადგურების ყველა ფაქტს.

On March 8, 2015 a joint declaration “Woman - Envoy for Peace” was signed by the religious organizations of Georgia and the State Agency for Religious Issues in Tbilisi Tolerance Square, stating that religious organizations, together with the state, “will support the recognition and protection of women’s rights; they condemned and continue to condemn all forms of violence, oppression and discrimination based on human dignity against women; provide all the necessary conditions and take special care of socially vulnerable women, pregnant women, mothers of many children, women living in nursing homes and medical facilities, women with disabilities, female prisoners and women probationers; based on their religious teachings, they will promote equality between men and women before the law”.

In 2016 at the conference „Interreligious Dialogue for Peace” a declaration was adopted, stating: “Parties involved in interreligious dialogue promote a co-operation between the religions and the formation of a high-mora society focused on protecting human dignity and family sanctity, equality, resolving social problems”;

On October 24, 2019, at the Interreligious Conference “Religions on the Georgia’s Way to European Integration” a declaration was signed according to which religions existing in Georgia support a historical choice of Georgia, announced by the universal plebiscite, – the European course, by maintaining and protecting fundamental values of national traditions, family and faith; condemn abduction and killing of civilians in the occupied territories of Georgia; as well as all facts of gross alteration, closure, or destruction of religious buildings with a purpose of erasing ethnic-historical traces.

საქართველოს ზედიზედ ატეხიანებათა და ზედიზედ საკითხთა სახელმწიფო საბაზისის კომპლექსური დეკლარაცია
 “ქალ - ქეილის ღმერთი”

თბილისი 2015 წლის 7 მარტი

პრეამბულა

საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებები

ვადარებთ რა, რელიგიურ გაერთიანებათა უფლებას - საკუთარ რელიგიურ დოქტრინათა შესაბამისად თავისუფლად განსაზღვრონ ქალისა და მამაკაცის რელიგიურ-ანთროპოლოგიური ღირსება;

ვადარებთ რა, საერთო საკაცობრიო ზნეობრივ ფასეულობებს, მათ შორის, ქალთა უფლებებს;

ვადარებთ რა, რომ ყველა რელიგიური გაერთიანებისათვის მიუღებელია ქალთა მიმართ ძალადობისა და ჩაგვრის ნებისმიერი ფორმა;

ვადარებთ რა, რელიგიურ გაერთიანებათა დოქტრინების შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით განმტკიცებულ, ადამიანის უფლებებს, როგორც მნიშვნელოვან სამოქალაქო ფასეულობას

ვაგადავებთ წინამდებარე დეკლარაციას

მუხლი 1

სეკულარიზმის პრინციპიდან გამომდინარე რელიგიური გაერთიანებები სარგებლობენ ხელშეუხებელი ავტონომიურობით და უფლებით იქონიონ, ჩამოაყალიბონ და გაავრცელონ საკუთარი რელიგიურ-ზნეობრივი სწავლება ქალის რელიგიურ-ანთროპოლოგიური ღირსების შესახებ.

მუხლი 2

1. საზოგადოებაში არსებული გამოწვევების დასაძლევად, ადამიანის ღირსების აღიარებისა და რელიგიათა დოქტრინების შესაბამისად სოლიდარული სულისკვეთების განმტკიცებისთვის, ხელმოწერი რელიგიური გაერთიანებები სახელმწიფოსთან ერთად:

- ა. საკუთარი შეხედულებითა და რელიგიურ დოქტრინათა შესაბამისად მხარს დაუჭერენ ქალთა უფლებების აღიარებასა და დაცვას;
- ბ. გამოხატონ და კვლავაც დაგმოვნ ქალთა მიმართ განხორციელებული ადამიანის ღირსების შემლახველი ძალადობის, ჩაგვრისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ყოველგვარ ფორმას;
- გ. შეუქმნიან ყველა საჭირო პირობას და განსაკუთრებით იზრუნენ სოციალურად დაუცველ ქალებზე, ორსულ ქალებზე, მრავალშვილიან დედებზე, მოხუცთა თავშესაფრების ბინადარ და სამედიცინო დაწესებულებებში მყოფ ქალებზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ და პრობაციონერ ქალებზე;
- დ. საკუთარ მრევლში და საზოგადოებაში წახალისებენ ადამიანის ღირსების აღიარებისა და სოლიდარობის სულისკვეთებას;
- ე. საკუთარი რელიგიურ-ზნეობრივ სწავლებათა გათვალისწინებით, ხელს შეუწყობენ კანონის წინაშე ქალისა და მამაკაცის თანასწორობას.


2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გამოცხადებული მიზნების მისაღწევად ხელმოწერი რელიგიური გაერთიანებები, საკუთარი შეხედულებითა და რელიგიურ დოქტრინათა შესაბამისად, როგორც დამოუკიდებლად, ასევე, ერთობლივად, განხორციელებენ სათანადო ღონისძიებებს.

მუხლი 3

წინამდებარე დეკლარაცია ხელმოსაწერად ღიაა საქართველოში რეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებებისთვის.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	/სააგენტოს თავმჯდომარე ზაზა ვაშაყმაძე/
საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია	/მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაბე)/
სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო	/შეიხი რამინ იგიდოვი/
ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია	/ეპისკოპოსი ჯუზეპე პაუოტო/
სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია	/ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი/
საქართველოს ებრაელთა კავშირი	/რაბინი რახამინ მურდუხაშვილი/
ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში	/საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი ფირზარი/
საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია	/ეპისკოპოსი ჰანს-იოახიმ კიდერლენი/
საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია	/მთავარეპისკოპოსი მერაბ გაფრინდაშვილი/
საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია	/უფროსი პასტორი გიორგი ჩიტაძე/
საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია	/ეპისკოპოსი ოლეგ ხუზაშვილი/
მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია	/მღვდელმსახური ზორის ჭარაია/
სულიერ ქრისტიან-მოლოკანთა თემი	/სვეტლანა აპრიამოვა/





ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის

ჩვენ, კონფერენციის – „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ – მონაწილენი, ვაცხადებთ, რომ:

საქართველო არის მრავალეროვანი, მრავალკონფესიური სახელმწიფო და მის განვითარებაში საკუთარი წვლილი უნდა შეიტანონ რელიგიების წარმომადგენლებმა.

ჩვენ ვხედავთ უკანასკნელ ათწლეულში რელიგიურ ნიადაგზე მსოფლიოში მიმდინარე დაპირისპირებებს და ვაცნობიერებთ ინტერრელიგიური ურთიერთობის მნიშვნელობას მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

გვწამს, რომ ინტერრელიგიური დიალოგი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა ურთიერთცნობადობის ამაღლებისა და ურთიერთპატივისცემის გასაღრმავებლად, მითუმეტეს საქართველოში, ქვეყანაში, სადაც საუკუნეების განმავლობაში მუდამ არსებობდა მშვიდობიანი თანაცხოვრება და ტოლერანტობა სხვადასხვა კულტურათა და რელიგიათა წარმომადგენლებს შორის.

მივიჩნევთ რა, რომ აუცილებელია რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე გავაძლიეროთ თანამშრომლობა და რელიგიის თავისუფლების საყოველთაოდ აღიარებული უფლების გათვალისწინებით ხელი შევუწყოთ ჩვენს ქვეყანაში სტაბილურობისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარებას,

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. რწმენა არ არის ძალადობის, რელიგიურ ნიადაგზე ომისა და კონფლიქტის წამახალისებელი;
2. ინტერრელიგიური დიალოგი არის განსხვავებული რწმენის ადამიანთა ურთიერთობის ჰუმანური ფორმა.
3. ინტერრელიგიური დიალოგისას წარმოშობილი შესაძლო სირთულეები არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი. იგი უნდა დაიძლიოს ურთიერთგაგებით, სამართლიანობისა და სარწმუნოებრივ-მორალური პრინციპების გათვალისწინებით.
4. ინტერრელიგიური დიალოგი ხელს უწყობს რა კულტურათა კვლევასა და რელიგიური ცნობიერების ამაღლებას, ასუსტებს ნეგატიურ განწყობებს და ქმნის მშვიდობიან გარემოს.
5. ინტერრელიგიური დიალოგი თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისახავს ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების დაცვას და ღვთის მცნებებზე დაფუძნებული ზოგად-საკაცობრიო ღირებულებების დანერგვას.
6. ინტერრელიგიურ დიალოგში ჩართული მხარეები იღვწიან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის, ამასთან, თანაუგრძნობენ ყველა ხალხის სატკივარს, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მოკლებულნი არიან მშვიდობის, სამართლიანობისა და სოციალურ სიკეთეებს;
7. ინტერრელიგიურ დიალოგში ჩართული მხარეების მოღვაწეობა არის შემოქმედებითი და საქმიანი და ხელს უწყობს რელიგიათა შორის თანამშრომლობას და მაღალზნეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას, ორიენტირებულს ადამიანის ღირსებისა და ოჯახის სინამდის დაცვაზე, თანასწორუფლებიანობაზე, სოციალური პრობლემების მოგვარებაზე, სწეულთა და საპყრობილეში მყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ნარკომანიის, ლოთობისა, ძალადობის და სხვა მავნე გამოვლინებების აღმოფხვრაზე.

8. რელიგიური ორგანიზაციები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ რელიგიური ჯგუფების მშვიდობიან თანაარსებობას კავკასიის რეგიონში და ამით ხელი შეუწყონ მრავალფეროვანი მსოფლიოს შენარჩუნებას.

ხელმომწერი მხარეები ვაცხადებთ მზადყოფნას, ერთად ვიზრუნოთ ინტერრელიგიური დიალოგის გზით მშვიდობის მხარდასაჭერად და ზემოაღნიშნულ მიზანთა განსახორციელებლად.

- რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო
- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია
- სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო
- ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია
- სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია
- საქართველოს ებრაელთა კავშირი
- ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში
- საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია
- საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია
- საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია

დეკლარაცია

რელიგიები საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე

ჩვენ, საქართველოში მოქმედი რელიგიები,
ვაცნობიერებთ რა, საქართველოს ისტორიულ მისწრაფებას ევროპული ოჯახისა და კულტურის მიმართ,

ვეყრდნობით რა, პლებისციტით გამოხატულ ქართული საზოგადოების ნებას,
ვითვალისწინებთ რა, რელიგიების მნიშვნელობას და როლს საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ცხოვრების ფორმირებაში,

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მხარს ვუჭერთ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას;

2. მიგვაჩნია, რომ საქართველოს, როგორც ძველი ევროპის კულტურული ოჯახის ისტორიული წევრისა და გამორჩეული ტოლერანტობის ტრადიციის მქონე ქვეყნის როლი მნიშვნელოვანია თანამედროვე ევროპის თანამეგობრობისათვის, ისევე, როგორც ევროპული ქვეყნების მიღწევები ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დაცვის სფეროში – ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის;

3. ვგმობთ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცებასა და სიცოცხლის მოსპობას; საკულტო ნაგებობების ეთნიკურ-ისტორიული კვალის ნაშლის მიზნით უხეში გადაკეთების, დახურვის ან განადგურების ყველა ფაქტს;

4. ვემიჯნებით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების შეზღუდვის გამოვლინებებს და მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესს;

5. მხარდაჭერას ვუცხადებთ საყოველთაო პლებისციტით განცხადებულ საქართველოს ისტორიულ არჩევანს – ევროპულ კურსს ეროვნული ტრადიციების, ოჯახისა და რწმენის ფუნდამენტური საკითხებისა და ღირებულებების შენარჩუნებითა და მოფრთხილებით.

- საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია
- სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო
- სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქია
- საქართველოს ებრაელთა კავშირი
- საქართველოს სახარების ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიების კავშირი
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია
- თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია
- რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

**ტოლერანტობის
საერთაშორისო დღე და
ტოლერანტობის სკვერი**

**INTERNATIONAL DAY FOR
TOLERANCE AND TOLERANCE
SQUARE**

1995 წლიდან, UNESCO-ს ინიციატივით, 16 ნოემბერს მსოფლიო ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. მისი მიზანი შეუწყნარებლობის, ექსტრემიზმისა და დისკრიმინაციის საფრთხეებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგების დამკვიდრებაა. 2016 წლიდან, რელიგიის სააგენტოს ინიციატივით, ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს საქართველოს ყველა კონფესია ერთად აღნიშნავს, რაც განამტკიცებს ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს. ამით სახელმწიფო იცავს და აგრძელებს ტრადიციას, რომელსაც ჩვენი წინაპრები სხვადასხვა ეროვნებისა და კონფესიის წარმომადგენლებთან ერთად, მრავალი საუკუნის განმავლობაში ქმნიდნენ. პირველი ასეთი შეხვედრა 2016 წელს 16 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა. 2017 წელს რელიგიურ ორგანიზაციებს საქართველოს იუდეურმა თემმა უმასპინძლა ტოლერანტობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად. 2018 წლის 16 ნოემბერი კონფესიების წარმომადგენლებმა ლათინ კათოლიკეთა ადმინისტრაციასთან ერთად აღნიშნეს. 2019 წელს ტოლერანტობის დღის აღსანიშნავად სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებს მუსლიმმა თემმა უმასპინძლა.

Since 1995, on UNESCO's initiative, the world celebrates the International Day for Tolerance on November 16. Its purpose is to raise public awareness of the dangers of intolerance, extremism and discrimination and to promote mutual respect and understanding. Since 2016, on the initiative of the religious agency, all the confessions of Georgia together celebrate the International Day for Tolerance, which reinforces mutual respect and love. In doing so, the state upholds and continues the tradition that our ancestors, together with the representatives of various nationalities and religions, have been creating for many centuries. The first such meeting was held on the 16th of November in 2016 at the Georgian Patriarchate. In 2017, the Jewish community of Georgia hosted religious organizations to celebrate the International Day for Tolerance. The representatives of the confessions celebrated on the 16th of November, 2018 together with the Apostolic Administration of the Caucasus. In 2019 for the celebration of the International Day for Tolerance the representatives of different confessions were hosted by the Muslim community.











საქველმოქმედო აქციები

CHARITY EVENTS

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო 2015 წლიდან დღემდე აქტიურად ატარებს საქველმოქმედო აქციებს საქართველოს სხვადასხვა მხარეში, რომელიც ერთის მხრივ გულისხმობს, როგორც უფასო სამედიცინო მომსახურების ჩატარებას ასევე ტანისამოსის მიწოდებას, სოციალურად დაუცველი, და არა მხოლოდ, ბავშვებისათვის და ასევე უფროსებისათვის.

საქველმოქმედო აქციები ტარდება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ინიციატივით, საპატრიარქოს წმ. იოაკიმესა და ანას სამედიცინო ცენტრის, მუსლიმთა სამმართველოს, საქართველოს სახარების ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიების კავშირის და სხვა რელიგიების ჩართულობით.

Since 2015, the State Agency for Religious Issues has been actively involved in charity activities throughout Georgia, which on the one hand include providing free medical care as well as the supply of clothing for the vulnerable, and not only, children and adults.

The charity events are organized by the State Agency for Religious Issues, with the involvement of St. Joachim and St. Anne Medical Center, the Administration of Muslims of All Georgia, Union of Evangelical Christian Baptist Church of Georgia and other religions.











**რელიგიურ გაერთიანებათა
ქონებრივი და ფინანსური
საკითხების შემსწავლელი
სარეკომენდაციო კომისია**

**RECOMMENDATORY
COMMISSION ON PROPERTY
AND FINANCIAL ISSUES OF THE
RELIGIOUS ORGANIZATIONS**

რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის საქმიანობის ფარგლებში რეგულარულად იმართება სხდომები, სადაც კონკრეტულ საკითხებზე კონკრეტული გადაწყვეტილებები მიიღება. საქართველო საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე არაა და ამდენად, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის ვალდებულება არ აქვს. ამის მიუხედავად, სახელმწიფო იჩენს კეთილ ნებას და რელიგიურ გაერთიანებებს უბრუნებს იმ საკულტო ნაგებობებს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფოს ფაქტობრივ საკუთრებაში რომ აღმოჩნდა. სააგენტოს წარმომადგენლები შეხვდნენ როგორც რელიგიურ ლიდერებს, ისე დარეგისტრირებული სსიპ ორგანიზაციების ხელმძღვანელობას, რომლის შემდეგ გაანალიზებული მასალის შესაბამისად მოხდა „რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისიის“ ჩამოყალიბება.

Within the framework of the activities of the Recommendatory Commission on Property and Financial Issues of the Religious Organizations meetings are held regularly where specific decisions are made on specific issues. Georgia is not a legal successor of the Soviet Union and thus has no obligation to restitute the property confiscated during the Soviet period. Nevertheless, the state shows good will and returns those cult buildings to religious organizations that became the actual property of the state after the restoration of independence. The representatives of the agency met with both religious leaders and the leadership of the organizations registered as LEPL, after which according to the analyzed material “Recommendatory Commission on Property and Financial Issues of the Religious Organizations” was formed.







ინტერრელიგიური
კალენდარი;
კალენდარი ბრაილის
შრიფტით

**INTERRELIGIOUS CALENDAR;
BRAILLE CALENDAR**

2014 წლიდან რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო ახორციელებს ინტერრელიგიური კალენდრის პროექტს, რომელშიც სხვადასხვა რელიგიური თემების დღესასწაულები ერთი კალენდრის ფორმატშია თავმოყრილი. პროექტის მიზანია განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთცნობადობის ამაღლება და ინტერრელიგიური კულტურის განვითარების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, რომ კალენდარი ვრცელდება, არა მხოლოდ, რელიგიურ თემებში, არამედ პრაქტიკულად ყველა საჯარო უწყებაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საჯარო მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას რელიგიური მრავალფეროვნებისა და ტოლერანტობის მიმართულებით. უკვე მესამე წელია, კალენდარს ახალი ვერსია შეემატა – ესაა ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი ინტერრელიგიური კალენდარი, რომლის მიზანი უსინათლო ადამიანთა მიმართ საზოგადოების მგრძნობელობის ამაღლება და შუამ პირთა საზოგადოებაში მაქსიმალური ჩართულობის ხელშეწყობაა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სააგენტო ურთიერთობს საქართველოს უსინათლოთა კავშირისა და 202-ე საჯარო სკოლა-პანსიონის წარმომადგენლებთან – აწეობს მათ შეხვედრებს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ხელმძღვანელობასთან, სამოსითა და საკანცელარიო ნივთებით, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი კალენდრით ასაჩუქრებს სკოლის ყველა მოსწავლეს. საქველმოქმედო აქცია საქართველოს სახარების ქრისტიან ბაპტისტთა ეკლესიების კავშირის მხარდაჭერით ხორციელდება.

Since 2014, the State Agency for Religious Issues has been implementing a project of inter-religious calendar including the holidays of different religious communities in a single calendar format. The aim of the project is to raise awareness among different religious groups and promote the development of inter-religious culture. It is important that calendar is distributed not only to religious communities but to virtually all public agencies which in turn, promote raising awareness of public servants in terms of religious diversity and tolerance. It's the third year since a new version has been added to the calendar that is an inter-religious calendar in Braille, which aims to raise public sensitivity to blind people and promote maximum inclusion of people with disabilities in a society. We also note that the agency interacts with the representatives of the Union of the Blind and the public boarding school # 202 - organizes their meetings with the leadership of the Human Rights and Civil Integration Committee of the Parliament of Georgia, provides all school children with clothes and stationery, and a calendar printed in Braille. The charity action is being supported by the Union of Evangelical Christian Baptist Church of Georgia.

რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტო

STATE AGENCY FOR
RELIGIOUS ISSUES

წმენა დაწმუფულებს აწვია!



2020



<https://religion.gov.ge/>

რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტო

STATE AGENCY FOR
RELIGIOUS ISSUES

წმენა დაწმუფულებს აწვია!

ინტერრელიგიური
კალენდარი 2019



ბრაილის შრიფტით

რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტო

რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტო

ინტერრელიგიური კალენდარი
2019

ბრაილის შრიფტით



**ფოტოალბომი
„რელიგიები საქართველოში“**

**PHOTO ALBUM
„RELIGIONS IN GEORGIA“**

2019 წლის 7 თებერვალს, გაიმართა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ახალი პროექტის, ფოტოალბომის – „რელიგიები საქართველოში“ პრეზენტაცია. ამ ფორმატის ფოტოალბომი საქართველოში პირველად დაიბეჭდა, მასში თავმოყრილია საქართველოში არსებული რელიგიური ორგანიზაციების – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, ებრაული თემის, ლათინ – კათოლიკეთა კავკასიის ადმინისტრაციის, მუსლიმანური თემის, სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიის, იეზიდთა თემის, ევანგელურ – ლუთერული ეკლესიის, სახარების ქრისტიან – ბაპტისტთა ეკლესიების კავშირის, თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესიის, ევანგელურ – პროტესტანტული ეკლესიის, სახარების რწმენის ეკლესიის, კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოების საკულტო ნაგებობების, მათ შორის, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული სალოცავების ფოტოსურათები და რელიგიურ ლიდერთა ბიოგრაფიები.

2019 წელს, აშშ-ში ოფიციალური ვიზიტისას საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა აშშ-ს პრეზიდენტს დონალდ ტრამპს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შექმნილი ფოტოალბომი „რელიგიები საქართველოში“ საჩუქრად გადასცა.

On February 7, 2019 the presentation of the new project of the State Agency for Religious Issues, the photo album “Religions in Georgia” was held. The format of the photo album was published in Georgia for the first time. It contains photographs and biographies of the religious organizations existed in Georgia - Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church, Jewish Union of Georgia, Apostolic Administration of the Caucasus, Muslim Community, Diocese of the Armenian Apostolic Orthodox Holy Church in Georgia, Yezidi community, Evangelical-Lutheran Church, Union of Evangelical Christian Baptist Church of Georgia, International Baptist Church of Tbilisi, Evangelical-Protestant Church in Georgia, Evangelical Faith Church of Georgia, International Society for Krishna Consciousness as well as photographs of religious buildings and the churches in the occupied territories of Georgia, Abkhazia and the Tskhinvali region.

During an official visit to the United States in 2019, the President of Georgia Salome Zurbashvili presented this photo album “Religions in Georgia” to the US President Donald Trump.









**რელიგიის სააგენტოს
გამოცემები**

**PUBLICATIONS OF THE
RELIGIOUS AGENCY**

სააგენტო სისტემატურად გამოსცემს პუბლიკაციებს რელიგიის თავისუფლებისა და მშვიდობის შესახებ ქართულ ენაზე. მათ შორის ხაზგასასმელია: ა) სახელმძღვანელო – სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში; ბ) სერია – რელიგია და სამართალი (ჯერ-ჯერობით 3 ტომად) – I – „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები რელიგიის თავისუფლებაზე“, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებაში (სულ 62 საქმე);




II – „გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ვენეციის კომისიისა და ოსლოს კოალიციის დოკუმენტები რელიგიის თავისუფლების შესახებ“; III – „რუმინეთის, ბულგარეთის, ავსტრიის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდავეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ბელორუსიის კანონმდებლობა რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ“.

უცხო ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით სააგენტომ შეისწავლა საჯარო სამსახურში რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის სტანდარტების შემუშავება და მისი შესაბამის დოკუმენტებში ასახვა. სააგენტოს რეკომენდაციის საფუძველზე „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგად წესებს“ დაემატა მე-7 მუხლი (რელიგიური ნეიტრალიტეტი).

The agency regularly publishes textbooks on freedom of religion and peace in Georgian. Among them should be emphasized: 1. The textbook – “Secularism and Religious Neutrality in Public Service”; 2. A series of publications – Law and Religion (so far 3 volumes) - Book I – Judgments of the European Court for Human Rights on freedom of religion”, with regard to Article 9 of the European Convention for the Protection of Human rights and basic Freedoms (62 cases in total); Book II - The United Nations, the Council of Europe, the OSCE, the Venice Commission and the Oslo Coalition documents on freedom of religion; Book III - “Legislation on Freedom of Religion and Belief of Romania, Bulgaria, Austria, Latvia, Lithuania, Estonia, Moldova, Armenia, Azerbaijan, Russia and Belarus”.

Based on the experience of foreign countries, the agency has studied the development of standards for the protection of religious neutrality in the public service and reflection of them in relevant documents. Article 7 (Religious Neutrality) was added to “General Rules of Ethics and Conduct in Public Institutions” on the basis of the agency’s recommendation.





სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში

სახელმძღვანელო საჯარო მოხელეებისთვის



რელიგიის საკითხთა
სახელმწიფო სააგენტო

რელიგიური რუკები

RELIGIOUS MAPS

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, პირველად საქართველოს ისტორიაში, გამოვიდა რელიგიური რუკის მომზადების ინიციატივით. სააგენტოსთან შექმნილმა რელიგიის პოლიტიკის კვლევის ცენტრმა, 2016 წელს, შეიმუშავა საკულტო ნაგებობათა რეგიონული და რაიონული რუკის მომზადების კონცეფცია, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, ყველა დაინტერესებულ უწყებასა თუ რელიგიურ ორგანიზაციას, საქართველოს მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის გათვალისწინებით დაგეგმოს და წარმართოს თავისი საქმიანობა. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობითა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და რელიგიური ორგანიზაციების მიერ რეგიონებსა და რაიონებში, ერთობლივი სამუშაო შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად შეჯერებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მოამზადა რელიგიური რუკის ორი ვარიანტი, რეგიონული და რაიონული, რომლებშიც წარმოდგენილია მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები. რუკების მომზადება და გამოცემა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის ყველაზე რეალურ სურათს იძლევა რელიგიური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების/რაიონების შესახებ. ამასთან ერთად, შეიქმნა საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობების რუკა, როგორც ნაბეჭდი ისე ელექტრონული ვერსია, რომელზეც დატანილია მოქმედი საკულტო ნაგებობების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებლები როგორც რეგიონების, ისე მუნიციპალიტეტების დონეზე; ასევე – საქართველოში არსებული უმრავლესი რელიგიური კონფესიების მონაცემები.

სააგენტოს გამოცემულ რუკებში ცალკეა გამოყოფილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები – აფხაზეთი და ცხინვალი. ოკუპაციის თემა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. გარდა იმისა, რომ დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ადგილი აქვს ეთნიკურ-რელიგიურ ჩაგვრას, ირღვევა და ფეხქვეშ ითელება ადამიანის ყველა უფლება – გადაადგილების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და რელიგიური აღმსარებლობის განხორციელების უფლების ჩათვლით.

For the first time in the history of Georgia, the State Agency for Religious Issues initiated the preparation of a religious map. The Religious Policy Research Center established at the agency in 2016 developed the concept of preparing regional and district map of cult buildings that would enable the state, all interested agencies or religious organizations to plan and conduct their activities according to the religious composition of the Georgian population. The State Agency for Religious Issues, based on census data conducted in 2014 and based on the information collected by the National Statistics Office of Georgia and religious organizations in the regions and districts, through joint workshops and consultations, prepared two versions of religious map: regional and district which represents the quantitative and percentage indicator of the religious composition of the population. The preparation and publication of the maps is also important in that it gives the most realistic picture of regions / districts populated by religious minorities. In addition, a printed and electronic version of the Maps of Cult Buildings Functioning in Georgia was created, showing the number and percentage of existing cult buildings at both the regional and municipal levels; also - data on most religious confessions in Georgia.

The occupied territories of Georgia - Abkhazia and Tskhinvali are separately shown in the maps published by the agency. The topic of occupation is of utmost importance to us. In addition to violating the country's territorial integrity, there is an ethnic-religious oppression, and violations of all human rights - including the right to movement, receive education in one's native language and practice religious belief - are abused and violated.









**გამოფენა - რელიგიები
საქართველოში**

**EXHIBITION - RELIGIONS
IN GEORGIA**

2018 წლის 30 იანვარს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად, გახსნა გამოფენა – „რელიგიები საქართველოში“.

გამოფენის გახსნაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიები, პარლამენტისა და მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსისა და საგანმანათლებლო უწყებების წარმომადგენლები.

გამოფენაზე ექსპონატების სახით წარმოდგენილი იყო სხვადასხვა რელიგიური შესამოსელი, ლიტერატურა და სარიტუალო ინვენტარი.

On January 30, 2017 the State Agency for Religious Issues together with the National Museum of Georgia opened the exhibition – “Religions in Georgia” in the National Museum of Georgia.

The opening of the exhibition was attended by the religious confessions existed in Georgia, Members of Parliament and Government, representatives of diplomatic corps and educational institutions.

Various religious garments, literature and ritual inventory were presented in the form of exhibits at the exhibition.











**რელიგიური დღესასწაულები
და ცენტრალური მთავრობა**

**RELIGIOUS HOLIDAYS AND
CENTRAL GOVERNMENT**

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით ტრადიციულად ესწრება საქართველოში მოღვაწე ისტორიული რელიგიების უმთავრეს დღესასწაულებს, მათ შორის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური და მართლმადიდებლური ეკლესიის უდიდეს დღესასწაულებს აღდგომას, შობას და სვეტიცხოვლობას, მუსლიმი თემის დიდ დღესასწაულებს და ტრადიციულად იფთარის ვახშამს მართავს მუსლიმანი სასულიერო პირებისათვის; ხოლო საქართველოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ებრაელთა თემის ხანუქას დღესასწაულზე სინაგოგაში სიმბოლურად ანთებენ პირველ და მეორე სანთელს.

The central government of Georgia, led by the Prime Minister, traditionally attend the major holidays of historical religions existing in Georgia, including the greatest holidays of Apostolic Autocephalous Orthodox Church - Easter, Christmas and Svetitskhovloba, great holidays of the Muslim community and traditionally hold iftar dinner for the clergymen; and the President and Prime Minister of Georgia symbolically light the first and eighth candles in the synagogue on the occasion of Hanukkah of the Jewish community.























სახელმწიფო ენის
პროექტი

STATE LANGUAGE PROJECT

2019 წლის 22 ივლისს მარნეულში, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ახალი პროექტის, „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“ ფარგლებში, პირველი შეხვედრა გაიმართა.

პროექტის შექმნის იდეა განაპირობა სააგენტოს მიერ 2018–2020 წლების ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით განხორციელებულმა სემინარების ციკლმა – „ადამიანის უფლებები და რელიგიური შემწყნარებლობა“, რომლის დროსაც გამოიკვეთა, რომ სემინარების მონაწილე რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ სასულიერო პირებს თემის გაგება-გააზრება უჭირდათ სახელმწიფო ენის სათანადოდ ან საერთოდ ვერ ფლობის გამო. გადაწყდა, განხორციელებულიყო სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტი, სახელწოდებით: „სახელმწიფო ენა სასულიერო პირებისთვის“, რომლის ფარგლებშიც ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი.

ამ ეტაპზე პროექტში მონაწილეობას იღებენ: საქართველოს მუსლიმი თემი, სომხური სამოციქულო ეკლესია და ევანგელურ-ლუთერული ეკლესია. შემდგომში პროექტში მონაწილე რელიგიური ორგანიზაციების რიცხვი გაიზრდება.

On the 22nd of July, 2019 the first meeting was held in Marneuli within the framework of the new project of the State Agency for Religious Issues “State Language for the Clergy”.

The idea of creating the project was conditioned by a series of workshops - “Human Rights and Religious Tolerance” held by the agency throughout Georgia within the framework of the Governmental Human Rights Action Plan for 2018-2020 which revealed that the clergymen of the religious minorities participating in the seminars had difficulty understanding the topic due to inadequate or lack of knowledge of the state language. It was decided to implement a project of state importance, entitled “State Language for the Clergy”, within the framework of which a memorandum of cooperation was signed with Zurab Zhvania School of Public Administration.

At this stage the project participants are: Muslim Community of Georgia, Armenian Apostolic Church and Evangelical- Lutheran Church. Later, the number of religious organizations participating in the project will increase.







**რელიგიის სააგენტოს
ტრენინგები**

**TRAININGS OF THE
RELIGIOUS AGENCY**

2014 წლიდან, სააგენტო აქტიურადაა ჩართული საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის განხორციელებაში. კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობასთან პარტნიორობით, 2015 წელს მომზადდა პროექტი „საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის საკითხებზე“. პროექტი ითვალისწინებდა სათანადო კომპეტენციის მქონე ექსპერტების მონაწილეობით, საქართველოს მასშტაბით, სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერიის, გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან. სულ, საქართველოს მასშტაბით ტრენინგში 183-მა საჯარო მოხელემ მიიღო მონაწილეობა.

2016-2017 წლებში სააგენტომ, თემაზე – „სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი“, ტრენინგები ჩაატარა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ტრენინგებს ესწრებოდნენ შსს-ს ტერიტორიული ორგანოების, კრიმინალისტიკური პოლიციის, საპატრულო პოლიციის, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლები და დეტექტივ-გამომძიებლები. გადამზადებულია შ.ს.ს.-ს 200-ზე მეტი თანამშრომელი.

